ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№12

ქ. რუსთავი **05 თებერვალი, 2019**

ერთის მხრივ.**ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“** ს.კ 416298786(შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის სოსო ნემსაძისსახით და მეორეს მხრივ **შპს „თერმო ცენტრი “**ს.კ 404 872 401 (შემდგომში ”მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ქათამაძის სახით.„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. ..ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ..ხელშეკრულება“) -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება.რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. ..ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა.რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. ..დღე“. ..კვირა“...თვე“-კალენდარულიდღე.კვირა.თვე.

1.4. ..შემსყიდველი“- ორგანიზაცია.რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ..მიმწოდებელი“ - პირი.რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: სხვადასხვა დასახელების საქონლის შესყიდვა (CPV42100000, CPV24900000, CPV44500000)

2.2. შესასყიდი საქონლის ზუსტი დასახელება და რაოდენობები წარმოდგენილია დანართი N 1-ის სახით. რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **456,30**ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორება

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

4.4. დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

5. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს - შემსყიდველის ფაქტიურ მისამართზე ქ.რუსთავში, ფიროსმანის ქ. N7-ში.

5.2. საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიწოდებული საქონლის მიღება განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

6.2. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს:ლოჯისტიკის მენეჯერი ზურაბ კანდელაკი

6.3. „მიმწოდებლის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს: დირექტორი ან/და დადგენილი წესით უფლებამოსილი პირი.

6.4. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: მიწოდებული საქონლის დასახელება. რაოდენობა და ღირებულება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

(1) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

(2) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას შეფერხებების შესახებ საქმის კურსში დროულად ჩააყენოს „შემსყიდველი“ ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობისას;

(3) მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხარისხობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას მიწოდებულ საქონელზე გამოვლენილი ხარვეზები. არაუგვიანეს 1 (ერთი) დღისა;

7.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

(1) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ანაზღაურება.

(2) მოსთხოვოს „შემსყიდველს“ საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

7.3. „შემსყიდველი“ვალდებულია:

(1) აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის ღირებულება;

(2) უზრუნველყოს „მიმწოდებელი“ საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციითა და დოკუმენტაციით;

7.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

(1) ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

(2) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად და ხარისხობრივად ნაკლულისაქონელი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს შემსყიდველის ლოჯისტიკის მენეჯერი ზურაბ კანდელაკი.

8.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია: მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება. ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ..მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. პირგასამტეხლოსგადახდაარათავისუფლებსმხარეებსძირითადივალდებულებებისშესრულებისაგან.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1%–ს შემსყიდველი უფლებას იტოვებს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან. თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში. მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. იგი ვალდებული დაუყონებლივ. მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე.

10.3. მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში. შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების. დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა. ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით.

11.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება. რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.6. მხარე ვალდებულია 11.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით. ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს.

11.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტათ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის: ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი

ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“
მის: ქ. რუსთავი.ფიროსმანის ქ. №7
ს.კ. 416298786
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
სოსო ნემსაძე

მიმწოდებელი

შპს „თერმო ცენტრი“
საიდენტიფიკაციოკოდი: №404 872 401
სს „პროკრედიტ ბანკი“
ბ/კ№MIBGGE22
ანგარიშსწორებისანგარიში
№GE 43PC0043600100027720

დავით ქათამაძე

N.N.L.E GIGA LORTKIPANIDZE RUSTAVI MUNICIPAL THEATRE

Digitally signed by N.N.L.E GIGA LORTKIPANIDZE RUSTAVI MUNICIPAL THEATRE
Date: 2019.02.07 03:38:34 -08'00'

საქონლის დასახელება	**CPV კოდი**	**რ-ბა**	**ერთ. ფასი**	**სულ ჯამი**
რადიატორის კუთხური ვენტილი	42131000	14	12	168
ჩამხსნელი	42130000	2	5	10
ვენტილი ბურთულიანი	42131000	2	11	22
თითბერის ვენტილი ბურთულიანი	42131000	1	10	10
თითბერის სარქველი	42131000	1	2	2
თითბერის ვენტილი გაზის ჩამხსნელით	42131000	1	15.90	15.90
ანტიფრიზი	24951311	15	12	180
სამაგრი	44523200	40	0,70	28
სამაგრი	44523200	32	0,50	16
სამაგრი	44523200	8	0,30	2,40
სამაგრი	44523200	10	0,20	2
სულ ჯამი				**456,30**

„შემსყიდველი“ **„მიმწოდებელი“**

N.N.L.E GIGA LORTKIPANIDZE RUSTAVI MUNICIPAL THEATRE

Digitally signed by N.N.L.E GIGA LORTKIPANIDZE RUSTAVI MUNICIPAL THEATRE
Date: 2019.02.07 03:39:10 -08'00'